№ 137

კვირა, 28 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 137

კვირა, 28 ივნისი, 1898 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1 ივლისს

ქალაქ ტფილისის ხელის მომწერლებს დღეს გაზეთთან ერთად ურიგდებათ «ტფილისის ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებანი ქუჩებისა და მეიდნების სუფთად შენახვის შესახებ».



## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მერვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზაოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ქიმია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა კარგული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ფ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—6)


## «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან

შაბათს, 4 ივლისს, დანიშნულია საგანგებო კრება ქართველთა ამხანაგობისა. ამხანაგობის ზოგიერთ საქმეების განსახილველად.

კრება იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში საღამოს 8 საათზე.

კერძო ბარათები არავის გაეგზავნება.

გარეშენი კრებას ვერ დაესწრებიან.

(3—ნ.—2).


ქართული თეატრი.

კვირას, 28 ივნისს,

წარმოდგენილი იქნება

## დიდი მოურავი

ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

გამგე ივ. მჭედლიშვილი

(2—უ.—1)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567.

(50—80—40).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-(სიდა საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენი და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევი. 12—1 საათყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდე ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე—5—6. საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)


## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა 6 ივნისს უმაღლესად დაამტკიცა უქვეშევრდომილესი მოხსენება უწმიდესის სინოდისა, რომ საქართველოს ეპარქიის მეორე ვიკარი ყოვლად-სამღვდელო ბესარიონი დანიშნულ იქმნას იმერეთის ეპისკოპოსადა.

ებოძა: ფოთის ზურგის რაზმის კაპიტანს თავ. სუმბათაშვილს—პოდპოლკოვნიკობა; ქ. ქუთაისის ნოტარიუსს ანჯაფარიძეს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა; კოლლეჟსკი სეკრეტრობა—ფოთის მომრიგებელ განყოფილების მდივნის თანაშემწეს ჯაიანს; გუბერნსკი სეკრეტრობა—სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მდივნის თანაშემწეს ჩერქეზიას და კოლლეჟსკი რეგისტრატორობა—ქუთაისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ალავიძეს.

## ახალი ამბავი

*** 1 ივლისს პეტერბურგს მიდის ინჟენერი ს. დ. ნოვომეისკი, რომლის მოგზაურობასაც შედეგად უნდა მოჰყვეს კავკასიის გზების გაუკეთესების ნებართვის აღება.

*** 24-სა და 25 ივნისს ქალაქის გამგეობის აგენტებმა დაათვალიერეს დუქნებსა, მაღაზიებსა და ლუდხანებში საწონ-საზომ-სარწყავები და აღმოჩნდა, რომ ორმოცს ვაჭარს ყალბი ნივთები უხმარიათ. აგენტებმა ვაჭართ ოქმი შეუდგინეს და ყველა ყალბი ნივთი წარუდგინეს ქალაქის გამგეობას.

*** გზათა სამინისტროს შესაძლებელადა და სასურველად უცვნია ის, რომ ჭიათურის რკინის შტო გაყვანილ იქმნას საჩხერემდის და იმ ადგილებამდის, სადაც შავის ქვის მადანი აღმოჩნდებაო.

*** 25 ივნისს, დილის 10 საათზედ, ტფილისის მოქალაქე გიორგი საიფოვი მივიდა თავისს ცოლთან საპიორნი ქუჩაზედ, კალმის დანა დაარტყა მარჯვენა ყბაში და დაიმალა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი, ხოლო დამნაშავეს პოლიცია დაეძებს.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ფოთის დედათა სასწავლებელს ფულით შემწეობა აღმოეჩინოს.

*** სახელმწიფო მამულებზედ დასახლებულ გლეხთა სანადელო მამულის რაოდენობის გამოსარკვევად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის მიერ ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრებისათვის ახალციხისა და ახალქალაქის გარდა, დანიშნულ იქმნა აგრონომი თავ. ანდრონიკაშვილი და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებისათვის—ბ-ნი ვერიოვკინი.

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

—

დამბაჩავ ჯოჯოხეთისავ,
იჭექე, დაიგრიალე,
ჩემს მტერს სათოკე-ავაზაკს
სიცოცხლე გაუტიალე!
კალამო, მტრისა მომხრენი
ცეცხლ-ნავთით ააპრიალე,
შერცხვენის ბოძზედ მიჰბოჭე,
ულს შუბი დაუტრიალე!..

დ. მაჩხანელი

**დედა**

I

...ძნელად თუ დედა თავ-გამოდებით არ გამოესარჩლოს თავისს ნაშობს, ანუ თავისს ამაგს შვილს, თუნდაც რომ გარეწარიც იყოს. ჩვენ უკვე მრავალი მოთხრობა წაგვიკითხავს ამის შესახებ და თვალითაც გვინახავს ცხოვრებაში, მაგრამ დიდად გამაკვირვა ერთმა ამ გვარმა თავ-განწირულმა შემთხვევამ მგზავრობის დროს. ჩვენის სოფლის ოცის ვერსის მოშორებით მოვადექით მდინარე ფაცხოს, რომელიც მოულოდნელად საშინლად ჰღელავდა, არა გზით არ შეიძლებოდა, არამც თუ ცხენით, ურმითაც-კი გაღმა გასვლა და რადგანაც არც ცა იყო დამშვიდებული და უხვად ჰყუყუნებდა ოც მაისის წვიმა, თავის შესაფარებლად ჩასარბენი კოშკი ავირჩიეთ. ეს კოშკი მდინარის მახლობლადა სდგას და მის გარშემო დაყორულებულის ტყით არის შემოზღუდული; კოშკი არის ორ-სართულიანი, ცა გადაქნილი; აქ შეუძლიან მგზავრმა მშრალად და მოსვენებით შეაფაროს თავი და, თუ საჭიროება მოითხოვს, ღამესაც უშიშრად გაატარებს. აი, ამ დროს ჩვენ კოშკის კარებიდგან გავყურებდით გაავთრებულ მდინარის მრისხანედ ჩქეფას და ქვების რახა-რუხს. გაღმა მხარეს კარგად ვხედვიდით მწყემსების ღოღიალსაც, როგორ მობუზულნი მიერეკებოდნენ შინისკენ თავისს საქონელს. ჩვენმა ამხანაგებმა დაღამების ნიშნად მწყემსების მოძრაობა მიიღეს, რადგანაც არც ერთს საათი არა გვქონდა და ამ დროს მოიწადინეს წყალთან ბრძოლა, მაგრამ გულ-ახდით ცა უარი ვუთხარი, რადგანაც ისინი უფრო გამოუცდელნი იყვნენ ჩემზე. ჩვენი გაღმა გასვლა უენებლად ყოვლად შეუძლებელი იქნება დაყოვლის სულდგმულისათვის სასიამოვნოდ მაისი შავბნელად გარდაიქცა ჩვენის ცოლშვილისთვის-მეთქი. მს რჩევას დაჰყვნენ და დამშვიდებულნი შეუდგნენ ცეცხლის მზრუნველობას: მარჯვედ მოეწყოთ ხელი იმას, რომ ბუხარი მზად იპოვეს და გუდა ღუდღუდა ცეცხლი.

კარებიდგან არ ცძრულვარ: იქვე ნაბადზედ გაშოტილი გავყურებდი ცის წყვდიადს და ყურებულს ჰაერს, თუმცა წვიმა მოუწყვეტლად მოდიოდა, მაგრამ მეტად წყნარად და უშფოთველად: ფოთოლიც-კი არ იძვროდა. კარების პირდაპირ ნაკერჩხლის ხეზედ შავი შაშვი ფრთებჩამოყრილი იჯდა, თითქო რაღაც წარსულს განსაცდელს ჩაჰფიქრებოდა, ან ეხლა მოელოდა ავის დარის გამო.

II

მოწყენილი ცა დასტიროდა არე-მარეს და ცხარე ცრემლის მსგავსად აფრქვევდა ცვარს დედა მიწას: მწვანე, ხასხასა ბალახსა და ყვავილებზედ ყველგან ცვარ-ნამის მარგალიტი ციმციმებდა; დრო გამოშვებით მოისმოდა მცირე სისინი სხვა და-სხვა მწერებისა და ფოთოლ ნამის ხმას უერთდებოდა; მისი ზუზუნი თითქმის ტკბილ სიმების წკრიალს მოაგონებდა მსმენელს. ამ დროს გული სასიამოვნო მხიარულებასაცა ჰგრძნობდა და ამასთანავე ტანჯვა-ვაებასაც: თვალწინ იხატებოდა სამოთხე თვისის მშვენიერებით და ჯოჯოხეთი სასტიკის სასჯელით. რომელს ერთს უნდა დაემორჩილოს კაცი? აქ რითაც გული სამოთხის მსგავსად ჰსიამოვნებს, ამ სიტკბოს დროს არ შეიძლება რამდენიმე მოქმედება ჯოჯოხეთისა-ც არ აშინებდეს აფრთოვანებულს გულს, რომელიც თავ-დავიწყებული მიისწრაფის სიხარულისა და სიყვარულისაკენ. ამ დროს ბუხართან მსხდომის ამხანაგების სიცილმა დაარღვია სასიამოვნო დუმილი; ისინი უსხდნენ ცეცხლსა და სველს ტანისამოსს იმშრალებდნენ.

ვკითხე სიცილის მიზეზი და ხუმრობის კილოთი მიპასუხეს: ნეტავი ვიცოდეთ, რად იტკენ თავსა მაგდენის ფიქრით? ჩვენი სამშობლო და მისი ნიადაგი მშვენიერსა და მტკიცე საფუძველზედ არის გაშენებული დღევანდლამდე, და დღეიდგან კი, შიშქვეშა ვართ—არ შეარყიოს იგი შენმა ღრმა ფიქრებმაო. ხუმრობის

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს წინადადება შეიტანოს საბჭოში იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ათაშანგით ავადმყოფთათვის თავშესაფარი. როგორც გამოირკვა, ქალაქის ბევრი მოვაჭრეა თურმე ამ სენით ავად და ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ იმათ ეს სენი სხვათაც გადასდონ.

*** მიწათ-მოქმედების სამინისტროს უკვე გარდაეცა განსახილველად ის საგანი, რომ ტფილისის გუბერნიის გლეხებს გარდასახადი გამოერთვას სასოფლო-სამეურნეო თანხის შესადგენად. როდესაც ეს საგანი განხილული იქმნება, სამინისტრო დაადგენს, ყოველ წლივ რამდენი უნდა მოიკრიბოს, და შეიმუშავებს განსაკუთრებულს ამის შესახებს წესრიგს.

*** სატახტო ქალაქების გაზეთების სიტყვით კავკავის რკინის გზის მმართველობამ უკვე დაამთავრა მუშაობა და გამოიკვლია იმ გზის მიმართულება, რომლითაც სადგ. ნევინომისკაია უნდა შეუერთდეს ქ. სოხუმს. ამ გამოკვლევის თანახმად, გზას სიგრძით 296 ვერსი ექმნება. გზა გაჰყვება მდ. ყუბანს, ასცდება მდ. გილანს და დრანდის მახლობლად დაუხვევს სოხუმისაკენ. ამიერ კავკასიის რკინის გზასთან შესაერთებლად დრანდიდგან გაყვანილი იქმნება სხვა შტო, რომელსაც 98 ვერსი სიგრძე ექმნება და შეუერთდება ფოთის მახლობლად ამიერ კავკასიის რკინის გზას.

*** სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ ამ წლის გასულს გამართულ იქმნება ღვინის მწარმოებელთა და ბაღოსანთა კრება ქ. პეტერბურგშიო. კრებამ უნდა მოილაპარაკოს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი იქმნას ხმარებული ფილოქსერის მოსასპობად.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის გამგე ბ-ნი ტირიუტინი დანიშნულ იქმნება ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად.

*** ცხინვალი. ხმა დადის, ვითომ კავკავის საეპარქიო სასწავლებელი დ. ცხინვალში გადმოაქვთო, ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს სასიამოვნო ხმა გამართლებულიყოს, იქნება ფერი იცვალოს ცხინვალმა, თორემ თქვენი მტერი იყოს ისე, როგორც დღეს არის დაბეჩავებული. წარსულს პარასკევს ცხინვალში ფოსტა არ მოსულა, რადგან პატარა ლიახვს ისე მოემატნა, რომ ფოსტა ვერ გამოსულიყო და უკანვე დაბრუნებულიყო გორში. არ ვიცით, ღმერთმანი, როდის რა ეშველება ამ ხიდს?!. ოდესმე ველირსებით, რომ თავს ედოს ვინმე და გაეკეთებინოს!..

*** სოფ. დიღომი, (ტფილისის მაზრა). წრეულობითაც არ მოველით კარგს მოსავალს, ნახევარზედ მეტი ნათესი ქარმა ამოახმო. უიმისოდაც ცოტა ნათესი იყო, რადგან თესლი არ მოიპოვებოდა, და ეხლა იქნება სათესლეც აღარ მოუვიდეთ.

*** პარასკევს, 26 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ობშჩესტვენის ქუჩაზედ, ვიღამაც მირზოევის მდგმურს ილარიონ თედეშვილს ოთახიდგან მოჰპარა ზამთრისა და ზაფხულის პალტო, სამი შალვარი, ერთი საათი ძეწკვიანად და ხუთი მანეთი ფულად. პოლიციას ქურდი ჯერ არ აღმოუჩენია.

## ფოთის ქალაქის საბჭო

23 ივნისი

კრება დაიწყო საღამოს $7^1/_2$ საათზედ. კრებამ მოისმინა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამასწავლებლო საბჭოს წინად დება იმის შესახებ, თუ რა დახმარება შეუძლიან ქალაქს, ფოთში რომ სასულიერო სემინარია დავაარსოთო. საბჭომ დაადგინა, მივცეთ მიწა და სახლი ავუშენოთ, ან შენობა დავუქირაოთო.

შემდეგ განიხილეს წინადადება ტფილისის ქალაქის მოურავისა იმის შესახებ, განთავისუფლებულ იქმნას $^1/_2$ კაპ. საბაჟო გარდასახადისაგან ის ქვა, რომელიც ფოთიდგან იქნება გაზიდული ტფილისის ქვა ფენილებისთვისაო. სხდომაზედ ის აზრი წარმოითქვა, რომ ჯერ-ჯერობით ქვა უბაჟოდ გააქვს ყველას, მაგრამ მომავლისათვის გამგეობა შუამდგომლობს, რომ ბაჟი დაწესდეს, რადგან ამ წყაროდგან ბათუმს კარგი შემოსავალი აქვსო. თუ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და ქვის ბაჟი დაადგინეს და დააკანონეს, მაშინ ტფილისი რა წითელი კვერცხი იქნება, რომ სხვებში გამოარჩიონ და უბაჟოდ ქვა მისცენო.

კრებამვე განიხილა სანავთ-სადგურო კომისიის მიერ მოწონებული ოთხო ხარჯთ აღრიცხვა, შედგენილი ინჟენერ სვეტორჟინსკისაგან ნავთ-სადგურში ელექტრონის შემოღების შესახებ. თუ ნავთ-სადგური ელექტრონით იქნება გაჩაღებული, მთავრობისაგან ნება დართულია ღამით რუსეთის გემების დაცლა-დატვირთა. საბჭომ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ უცხო ქვეყნის გემების დაცლა-დატვირთვის ნებაც მოგვეცესო. ნავთ-სადგურისათვის ელექტრონის სინათლე მით უფრო სასარგებლოა, რომ იგი გააიაფებს საქონლის გადატან-გადმოტანის ფასს, რადგან გემები დროზედ ხელს გაიცლიან და ნაკლებს ბაჟს გარდაიხდიან გაჩერებისათვის.

მერე საბჭოს მოხსენდა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას პროექტი ნავთ-სადგურის შუაგულ აუზის შეკეთებისა. საბჭომ ერთ-ხმად დაადგინა, რომ გაიგზავნოს ქალაქის მოურავი პეტერბურგში და დაევალოს, იშუამდგომლოს გეგმის შეცვლისათვის და იქიდგან საზღვარ გარეთ წავიდეს სხვა-და-სხვა საუკეთესო ნავთ-სადგურების დასათვალიერებლადაო. ამის გარეშე გამგეობამ გზათა უწყების მინისტრს, ბ-ნს ხილკოვს ამას წინად მისის აქ ყოფნის დროს, ნავთ-სადგურის გეგმის შეცვლა სთხოვა, და იგიც დაეთანხმა. ნავთ-სადგურის საქმე მაინც წინ მიდის, რადგან მოიჯარადრემ მუშაობას ხელი მიჰყო და გაჰკაფა ის ადგილები, სადაც აუზი იქნება გათხრილი. აგრეთვე გზათა უწყების მინისტრმა უბრძანა რკინის გზის უფროსს, რომ გზის ლიანდაგს იმ ადგილას სხვა მიმართულება მიეცით, რადგან აუზი მოინდომებს მაგ მანძილსაო. ახალი გზა შავროვის მამულებს გადასჭრის.

დასასრულ ჩამოვარდა ბაზი ხორცის და პურის ნიხრის შეცვლის შესახებ. გამგეობის წევრმა ბ-ნმა ყრუაშვილმა დაწვრილებით გააცნო ხმოსანთ ყველა ქალაქის ნიხრი და სთხოვა, თუ საბჭო მოხერხებულად სცნობს, ნიხრი შევცვალოთო. ზოგიერთი ხმოსანი გაიძახოდა, ნიხრის დადგენას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ნიხრს არავინ ასრულებსო. ერთმა კიდევ ის აზრი წარმოსთქვა, რომ ჩვენი მეპურე-ყასაბნი ისე აღვირ-წახსნილნი არიან, რომ მე თითონ მომატყუა ყასაბმაო და, ძროხის ხორცის მაგიერ, კამეჩის ხორცი მომყიდაო. რამოდენიმე ხნის კამათის შემდეგ ხმოსნები იმ აზრს დაადგნენ, რომ მეტი ფასი იყოს, მხოლოდ კარგი ხორცი და პური გვეშოვებოდესო. ამისათვის თითქმის შეუცვლელად დასტოვეს უწინდელი ნიხრი, რომლითაც ხორცი 10 და 9 კაპ. ღირს გირვანქა, ხოლო პური 4 კ., $3^1/_2$ და 3 კაპ.

ი. იანეთელი

## წერილი დ. ხონიდგან

მეაბრეშუმეობა ერთი უკეთესი დარგია მრეწველობისა ჩვენს „კურთხეულ საქართველოში“. ყველაფერი ხელს უწყობს ამ დარგს, განსაკუთრებით-კი ჰაერი და თუთის ხის სიმრავლე. იმერეთში და ზოგან გურია-სამეგრელოშიაც გვარიანი ნაყოფი გამოაღებინეს აბრეშუმს, ერთი სოფელი არ არის ქვემო იმერეთში, რომ სოფლელებს 30-80-მდე და მეტის მანეთის პარკი არ გაეყიდნოთ. მოგეხსენებათ, რა დიდი ფულია ხუთი-ექვსი თუმანი ჩვენებურ „ბეჩავ“ გლეხისათვის.

გული უკვდება ადამიანს, როდესაც ჰხედავს, რომ ეს ნაყოფიერი დარგი მრეწველობისა განდევნილია ზოგიერთ სოფლიდგან ხალხის უვიცობისა და ადგილობრივის ინტელიგენციის დაუდევრობით. მაგალითად, ლეჩხუმის სოფ. ჩხუტელსა და ლუხონაში მეაბრეშუმეობას არ მისდევენ ცრუმორწმუნეობის გამო. ასე ჰგონიათ, თუ აბრეშუმი გავიჩინეთ, დიდი წვიმა მოვა და წაჰლეკავს ყველაფერს ერთიანადაო. როდესაც ვუთხარი, ეგ ცრუმორწმუნეობა-მეთქი, მიპასუხეს: „ჩვენ ჭკველებს შეუწირავს-ჰქი აბრეშუმის არ დაჯენა და ჩვენც ქე ვერ ვბედავთო“. ერთ ვიღაც გაქალაქელებულს სოფლელს გაებედნა აბრეშუმის გაჩენა და იმის თანა თქვენს მტერს, იმას დღე დასდგომოდა!... მისცვივნოდნენ სოფლელნი და, ლანძღვა გინების შემდეგ, გადაწვას დაჰმუქრებოდნენ,— სოფელს გარეშე გადაჰყარე სადმე აბრეშუმიო. ასეთივე ამბავია ს. კინჩხაში (სამეგრელოშია) და ჩვენის სამშობლოს ბევრს სხვა მიმალულს კუთხეში. კარგი იქნებოდა, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევდნენ როგორც პოლიცია, ისე სოფლის სწავლა-განათლების სათავეში მდგომნი— მღვდელნი და მასწავლებელნი.

კვირას, 21 ივნისს, დ. ხონში სცენის მოყვარეთაგან გამართულ იქმნა წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით (სტუდ. ჩხენკელის სასარგებლოდ). წარმოადგინეს ა. ცაგარლის კომედია: „რაც ვინახავს, ველარ ჰნახავ“ და ვოდევილი „აბლაკატი გამყრელიძე“. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა, იმის და მიუხედავად, რომ ზოგიერთმა მსახიობ ქალ-ვაჟმა თავიანთი როლები არ იცოდნენ კარგად.

წარმოდგენას ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები: ქ-ნმა მ. და ნ. ქუთათელაძისებმა, მ. ბახტაძისამ და სხვ. კარგნი იყვნენ: თავ. მაყაშვილი, ბ ნი ჩარგეიშვილი, მდივნები, თარგამაძე, სამ. ბახტაძე და სხვანი. მადლობის ღირსნი არიან გამგეობა ც დახმარებისათვის კი ქ-ნნი მაყაშვილისა და წერეთლისა; ბ-ნნი კორიძე, დიმ. ი. ჩხიკვიშვილი და კორქავთარაძე.

იმედია, შემდეგის წარმოდგენისათვის უფრო შინაარსიანი და თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელს პიესას ამოარჩევენ.

აქეთ დარი დგას და გვარიანათ ცხელა. პარკის ყიდვა-გაყიდვა ჯერ არ შეწყვეტილა. ფასი გირ. $36^1/_2$-38 კაპ. მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს: ვაზს გვარიანად ასხია და არც სიმინდს უჭირს არაფერი.

შ. ია-დია

## სასაცილო და სამწუხარო ამბავი.

ორმა კორის მაზრის მცხოვრებლმა აზნაურიშვილმა თავიანთს ღალას, კუდუხსა და ფულის სარგებელში აიყვანეს შვიდიოდ-რვაოდე ღორი, რომლიც დაუჯდათ არა ნაკლებ ხუთი-ექვსის თუმნისა იმ განზრახვით, რომ ღორები უნდა დაესუქებინათ და კარგს ფასად გაეყიდნათ, მაგრამ დახეთ ქართველის კაცის უბედურებას?!—მოგეხსენებათ დაწყევლილის ქართველების აღებ-მიცემა-ვაჭრობა და სომხებისა— ხვნა-თესვა და გუთანი. მართლა ასედაც დაემართათ: ჩვენმა კეთილ-შობილმა ჩარჩებმა წაასხეს ერთს დაბაში და ჩამოხტნენ გომურში, სადაც თითონაც უნდა უოფილიყვნენ და ღორებიც იქ დაესუქებინათ. გაურიგდნენ მედუქნე სომეხს, რომ ქმლია, რამდენიც დასჭირდებოდათ სიმინდი ღორების გასასუქებლად...

---

ნადიმი მალე მთქნარებად გარდაექცათ და ესრედ წოდებულმა მუხანათმა ძილმა ტკბილს განსვენებას შეუერთა.

III

შესწყდა წვიმის შხაპუნი და წვრილ ჟინჟღლად შეიცვალა. ფრინველებმაც ამოიღეს ხმა, გაიბერტყეს ნამიანი ფრთები. ნაკერჩხლის ხეზედ მჯდომარე შაშვი მონაწილეობას არ იღებდა იმათს მხიარულებაში; ის მხოლოდ გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ფრინველების მოძრაობას ყოველის მხრიდგან, თითქოს ჯარის-კაცი ხაზინის ყუთსა სდარაჯობსო. არ გასულა ხუთი წამი, რომ შაშვს მოუხტა მიმინო. თავ-გამოდებით დაიტაკნენ ორი პატარა ფრინველი; გაჩნდა ბრძოლა, საშინელი ჭყრთიალი და ფრთების ცემა. დიდად გამოცა სასტიკმა ჩხუბმა, რადგანაც ვერ მივხვდი, მიზეზი რა იყო ბრძოლისა. გული სურვილმა მიიზიდა—ვნახოთ-ბოლოს რა მოჰყვება-მეთქი და მის გამო შველაც ვეღარ მოვახერხე. მედგრად და თავ-გამომეტებით იხუბეს; შაშვს მიმინო თითქოს ვერ ერეოდა, მაგრამ ერთს წამს საბრალო შაშვი ძირს ჩამოვარდა, დაეცა მდელოზედ, იწყო ფართხალი და მშვენიერს ყვითელ ქარვის მსგავსს ნისკარტს მწუხარედ აღებდა გულდასისხლიანებული.

მე რომ იმისკენ გავექანე, მიმინო ამოფრინდა ბუჩქიდგან, კლანჭებში პატარა, ჯერ ბალან-შეუმოსავი ბარტყი ეჭირა და მიაწიალებდა საცოდავს. ოჰ, მტარვალობავ! რამდენის მართალის კაცის დედა სტირის შენგნით შეუბრალებელი და დაჩაგრული! როდესაც ხელში ავიყვანე, უკანასკნელად-ღა შეფრთხიალდა და კლანჭებიც მწარედ ჩამიჭირა ხელში: ვინ იცის, იქნება თავისს დამღუპველს მიმინოს შეებრძოლა კიდევ, თუმცა სიცოცხლის ნიშანი აღარ ეტყობოდა და მისის სიცოცხლის დასასრულიც ეს შეიქმნა.

ცრემლ-მორეული დავყურებდი იმის დაჭრილს გულს, რომელიც სამშობლოს სიყვარულით აღგზნებულ მამულიშვილის მტრისგან ხმლით განპობილს გულს მაგონებდა და არა ფრინველის ფრჩხილით გაკაწრულს. იმისს გამოთხრილს თვალს ცხადად ეტყობოდა, რომ გარდაეწყვიტა, მტერი დაემარცხებინა, ან თავი შეეკლა ზედ, რომ თავისის თვალით არ ენახა შვილის ტანჯვა-წვალება შეუბრალებელის მიმინოს კლანჭებში. მცირე ძებნის შემდეგ ცარიელი, ხელოვნურად გაკეთებული ბუდე-ღა ვიპოვე: ეტყობა დანაშთენები დედის იქ არ ყოფნის დროს წაელო... თუ იმ დროსაც იბრძოლა მოსიყვარულე დედამ შვილების გამოხსნისათვის, მაგრამ ძალ-მომრეობამ მაინც თავისი გაიტანა? ვინ იცის, იქნება ასეც იყო და ამის მწარე ფიქრსა ბ მტრისაგან დაჩაგვრის მოლოდინს დაეღონებინა. ასე ვგონებ, ის დედაც, რომელსაც ადამიანი ეწოდება, და ღვთიურის გრძნობიაა აღემატება ყველას, ისე გმირულად ვერ შესწირავდა თავს თავისს გულის სატრფოს, როგორც შაშვმა შესწირა. ამ დროს ჩემს თავსაც ვამტყუნებდი. გულს შეუბრალებლობა დავწამე! განა არ შეიძლებოდა, დაჩაგრულს მივშველებოდი და ამითი გადამერჩინა უძლური მძლავრის ხელიდგან? მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, ადამიანს სეირის ყურება უფრო ეტკბილება და ჰგრძნობს, ბოლოს რა უბედური დასასრული მოჰყვება ამ სეირს—მაშინ შემოიკრავს თავში, როდესაც წამხდარს საქმეს არა ეშველება რა.

IV

გათენდა მხიარული დილა. ყოველ მხრიდგან ისმოდა საკრძნობელი სტვენა და ჭახჭახი მგალობელ ფრინველებისა. მზემაც მოჰფინა თავისი უხვი სხივები. ყოველი ხის ფოთოლი ფრფინავდა ნელის ნიავის გამო, მაგრამ ნაკერჩხლის ხეს კი არ მიჰკარებია წყალობა მნათობისა. უზარმაზარის მუხების ჩრდილში შავად გაბურული იდგა უძრავად, თითქოს მწუხარე დედას დასძინებოდეს თავისის პირმშო შვილის კუბოზედ თმაგაწეწილს გულ-გათხრილ მიწის დარბაზშიო...

უშიშრად გამოვედით მდინარეს, რადგანაც ნახევრობით იკლო წყალმა. გზაზედ მომავალს მაგონდებოდა ჩვენი აწმყო და მომეტებულად წარსრული, ჩვენნი ერთგულნი წინაპარნი. მამულისათვის თავ-დადებულნი მომავალთა საკეთილდღეოდ. გამახსენდა ერთგული მღვდელი თევდორეც, რომლის პატიოსანი თავი ძვირფასის სამშობლოს და ცოლშვილ ს სიყვარულს შემოევლო.

მ. გ. გვიმრაძე

სუქმლად და როდესაც გაჰყიდნენ ღორებს, სიმინდის ფასი და თავიანთი ხარჯი მაშინ აგდო. მიკიტანი სიამოვნებით დასთანხმდა და უხვადაც აძლევდა სიმინდს. ქართველი ჩარჩები ვიდრე ღორებს დაასუქმებდნენ და ვაჭარი აღმოუჩნდებოდათ, განვლო თითქმის ორმა თვემ. როცა იყო, გაჩნდა ვაჭარიც, აძლია ფასი, ერთი თანახმა იყო მიეცა, მეორე წინააღმდეგი და უთხრა:

— კაცო, ორი თვეა აქ ვბანდდებით ორ-ორი კაცი და თითო შაურიც არ უნდა მოვიგოთო??.

— წავიდა პირველი მუშტარი განვლო ერთმა კვირამ, მოვიდა მეორე, აძლია ფასი ღირებული, ერთი თანახმაა, მეორე უარზეა. ამგვარად გაისტუმრეს მეორე ვაჭარიც, მესამეც. განვლო ორმა კვირამ, გაუხდათ სამი თვეა. აღარ მოუვიდათ ვაჭარი, იფიქრეს, დავხოცოთ და წონით გავყიდოთო. თქმა და ქმნა ერთი იყო, დასცქვლიფეს დასუქმებული ღორები. მიკიტანმა თავისს სიმინდში და ორის კაცის საკვებში გაჰკრა თავისებური ანგარიში და ექვსი ღორი ერგო. ჩვენს კეთილშობილთ ჩარჩებს დარჩათ ორი ღორი, გაჯავრებულებმა იმავე დაბაში აღარ გაჰყიდეს და წაიღეს ტფილისში. როგორც გადახტნენ ვაგონიდგან, დახვდათ ქალაქის ბეითალი, რომელმაც გაუსინჯა ღორები, ტრიხინიანი ხომ არ არისო. ამან რვა აბაზი შესამოწმებელი გამოართვა. ატარეს, ატარეს ორი უშველებელი გასუქმებული ღორი ბეჩავმა ჩარჩებმა და ორ მანეთად მლივს გაჰყიდეს. რვა აბაზი იმას ეკუთვნოდა, რომელმაც ასესხა ბეითალისათვის და დარჩათ რვა ღორში ორი აბაზი, სამი თვე მოცდენა, დაღლა, გულები და ფულის სარგებელი მეტი არ ერგოთ!.. ახლა ფული აღარა აქვთ, რომ შინ დაბრუნდენ და მიჰხედონ თავიანთ ცოლ-შვილს. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ვერსად ვერ იშოვნეს და ქვეითები მობრძანდნენ შინ დოვლათით ჩვენი გონება მახვილიანნი და გამჭრიახი ჩარჩები. ასეთი საჯაყო საქმე-კი დაემართათ ორს ძმას ჩარჩს და ვინც ჩვენი ვაჭრობა დასწყევლა, ღმერთმა უარესი ნუ მოუშალოს!..

ჩხირკედელა

# რუსეთი

—

მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა თხოვნების მიღება დაიწყება 15 ივლისს და დასრულდება 15 აგვისტოს. წელს პირველ კურსის სამკურნალო ფაკულტეტზედ მიღებულ იქმნება 230 მოსწავლე და მოსწავლეთა მიღება დამთავრდება 20 ივლისს. მე-2 კურსის სამკურნალო ფაკულტეტზედ-კი ადგილის უქონლობისა გამო არავინ იქმნება მიღებული. სტუდენტთა გარდა, უნივერსიტეტში მიღებულ იქმნებიან აგრეთვე გარეშე მსმენელნი და მეაფთიაქეთა თანაშემწენი, რომელნიც უნდა მოემზადნენ პროვიზორის ხარისხის მისაღებ ეგზამენის გარდასახდელად.

— უწმიდესს სინოდს განზრახვა აქვს რამდენიმე განსაკუთრებული სამასწავლებლო სემინარია დააარსოს სამრევლო სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებლად.

— განზრახვა აქვთ მომავალ წელს სხვა-და-სხვა გვარ ხელოსნობით დამზადებულ საგნების გამოფენა გამართონ ქ. პეტერბურგში.

— ამ ჟამად პეტერბურგს არსდება განსაკუთრებული დამზღვევი საზოგადოება იმათ უზრუნველ საყოფელად, რომელთაც ზარალი მოუვათ ქურდობისაგან. საზოგადოების წესდება უკვე შემუშავებულია და წარდგენილ იქმნება სადაც ჯერ არს დასამტკიცებლად.

— პეტერბურგსავე არსდება ძველის ფულის მოყვარეთა საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება გაავრცელოს და განავითაროს ძველის ფულის შესწავლის საქმე მთელს რუსეთში.

# უცხოეთი

—

**გერმანია.** სოციალ-დემოკრატთა გამარჯვებამ უკანასკნელ არჩევანების დროს, როგორც წინადაც ვწერდით, მთელი გერმანია აალაპარაკა. გაზეთების სიტყვით, ამ არჩევანებისა და განსაკუთრებით სოციალ დემოკრატთა გაძლიერებისა მალიან უკმაყოფილოა თვით იმპერატორი ვილჰელმ მე II-ე. მაგრამ ყველაზედ მეტად გაბრაზებული და გულ მოსულია თავადი ბისმარკი, რომლის გაზეთიც „Hamburger Nachricten“-ამის გამო სულ ცეცხლებს ჰყრის. გაზეთი, უმთავრესს ბრალს იმასას, რომ სოციალისტთა მოძღვრება საშინელის სისწრაფით ვრცელდება და იმათი დასი დღით-დღე ძლიერდება, თვით მთავრობასა სდებს. დღეს გერმანიის იმპერიაში, სწერს გაზეთი, ერთი სოციალისტიც აღარ იქმნებოდა, მთავრობას რომ არ გაეუქმებინა ის კანონი, რომელიც სოციალისტებს და იმათ მოძღვრებს სდევნიდაო. მთავრობამ ამ კანონის გაუქმებით გერმანიის აწინდელ წეს წყობილებას მირი გამოუთხარაო. მაგრამ სტატისტიკა 1887-90 წლებისა, როდესაც ეს კანონი ძალაში იყო, სულ წინააღმდეგს გვეუბნება. მთავრობა რაც უფრო სდევნიდა და ავიწროებდა სოციალ დემოკრატებს, მით უფრო ძლიერდებოდა იგი და მით უფრო ვრცელდებოდა ხალხში იმის მოძღვრება. სოციალისტთა მეთაურებს მოსვენებას არ აძლევდნენ, ერთს ადგილას არ აყენებდნენ. ისინიც ქალაქიდგან ქალაქში გადადიოდნენ და გზა და-გზა თავიანთ სწავლასა და მოძღვრებას ავრცელებდნენ. ბოლოს მთავრობა, დარწმუნდა რა, რომ ძალით არაფერი გამოვა, კანონი გააუქმა და სოციალისტებს სრული თავისუფლება მიანიჭა. თუმცა მთავრობა აღარა სდევნის ამ მოძღვრებას, მაგრამ იმის ზოგიერთი წარმომადგენელი, ზოგიერთის უწყების უფროსი დღესაც მალადობის პოლიტიკას ადგია და სცდილობს სასტიკის ზომებით მოსპოს იგი. აი, ამას წინად რა ბრძანება გასცა გერმანიის ფოსტათა და ტელეგრაფთა მინისტრმა პოდბელსკიმ: „სოციალისტთა მოძღვრების მეთაურთ არა ერთხელ მიაქციეს ყურადღება ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ და არა ერთხელა და ორჯელ სცდილობდნენ მათ შორის თავიანთ სწავლის გავრცელებას. ამის მაგალითები მე თვითონ ბევრი ვიცი. ისინი ყოველ ღონესა ღონობენ უკმაყოფილება დაჰბადონ მოსამსახურეთა შორის უფროსებისა და იმათ განკარგულების წინააღმდეგ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მოხელენი თავიანთ მოვალეობას არ დაივიწყებენ, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია მოვაგონო მათ ის აზრი, რომელიც ამას წინად რეიხსტაგში იქმნა წარმოთქმული, სახელდობრ ის, რომ სოციალისტთა იდეები ეწინააღმდეგება იმ აღთქმას, რა აღთქმასაც მოხელენი ფიცის დროს სდებენ. ამიტომ ყველა, ვინც სოციალისტთა მოძღვრებას აღიარებს და ეცდება იმის გავრცელებას, დაუყოვნებლივ სამსახურიდგან იქმნება დათხოვნილი“-ო. გასაკვირველი არ არის, რომ ფოსტათა და ტელეგრაფთა მინისტრმა ასეთი ბრძანება გამოსცა: ამ უწყების მოხელეთა შორის საშინელის სისწრაფით ვრცელდება სოციალისტთა მოძღვრება. ხოლო ამის მიზეზი ის არის, რომ დღემდის გერმანიის პარლამენტში არც ერთს დასს, სოციალ-დემოკრატთა დასის გარდა, კრინტი არ დაუძრავ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების წვრილ მოხელეთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. პირველად პარლამენტში სოციალ-დემოკრატთა აღიმაღლეს ხმა და განაცხადეს, საჭიროა ამ უწყების წვრილ მოხელეებს მუშაობის საათი შეუმციროთ და საზოგადოდ მათი ყოფა მდგომარეობა გავაუმჯობესოთო.

—

**ინგლისი.** ამ დღეებში ინგლისის პირველმა მინისტრმა მარკიზმა სალისბიურიმ ერთს ნადიმზედ სიტყვა წარმოსთქვა. სალისბიური ესპანია-ამერიკის ომსაც შეეხო. სხვათა შორის პირველმა მინისტრმა სთქვა: „ინგლისმა კანონად დაიდო, არც ერთს მეომარ სახელმწიფოს უპირატესობა არ მისცეს და რაიმე დახმარება აღმოუჩინოს. ჩვენთვის ის არის მხოლოდ საკვირველი, რომ სისხლის ღვრას ბოლო მოეღოს და დედამიწაზედ მშვიდობიანობა დამყარდეს. დღეს მშვიდობიანობას მხოლოდ ეს ომი არღვევს. ინგლისმა ეს ეს არის ეხლა დასდო ხელ-შეკრულება ერთს ძლიერ სახელმწიფოსთან და ამით ყოველგვარი შეტაკება და უთანხმოება თავიდგან აიცილა. რაც შეეხება ჩინეთს, ჩემის აზრით, ძნელი მოსალოდნელია, რომ მასთან როდისმე შეტაკება მოგვიხდეს. ინგლისს არასოდეს არ ექმნება ისეთი გავლენა ჩინეთზედ, როგორიც ამ ჟამად ეგვიპტეზედა აქვს. მაგრამ სამაგიეროდ ინგლისი სხვა სახელმწიფოებს არ ჩამორჩა: მან ისეთივე უფლებები მიიღო ჩინეთისაგან, როგორც სხვა სახელმწიფოებმა მიიღეს. საზოგადოდ ჩვენი პოლიტიკის დედა-აზრი, თქვა დასასრულს სალისბიურიმ, ის არის, რომ მხარი დაუჭიროთ ჩინეთს და იმის განადგურების, განაწილების ნება არავის მივსცეთ. ვეცადნეთ, ეს სახელმწიფო განათლებისა და გაძლიერების გზას დაადგეს“.

# ნარევი

—

ერთის თავადიშვილის ოჯახში წვეულება იყო. სხვათა შორის ერთმა ახალგაზდა თავადიშვილმა იხარბა საჭმელი და როდესაც მოსამსახურემ ხონჩა ჩამოატარა, ცივის დედლის ხორცით სავსე, თავადმა აიღო უდიდესი ნაჭერი და დაუწყო გულიანად თლა იმ განზრახვით: ჯერ დავთლი და მერე ჩვენებურად — ძველებურად შევჭამო. ის იყო გაათავა თუ არა ხორცის დათლა, ჩამოუარა მოსამსახურემ და წამოჰკრიბა ნახმარი ჭურჭელი, წაიღო ამ ყმაწვილის თეფშიც, სავსე დათლილის ხორცით. ვიღაცამ უთხრა სირცხვილით მოსამსახურეს, რადგან ყველას გაეთავებინა და ის ეხლა იწყებდა. დარჩა ხახა-მშრალი. ახალგაზდა ყმაწვილის გვერდით იჯდა ერთი ჭაღარა შერთული გონება-მახვილი და ხუმარა თავადიშვილი, რომელმაც შეამჩნია, რომ ახალგაზდა მეზობელმა ვერ მოასწრო, — ერთი ნათალიც არის შეეჭამა, და ღიმილით ჰკითხა:

— ყმაწვილო, გეთაყვა, ერთი შემატყობინეთ, თქვენ რომ ხორცსა სთლიდით, რისა გახლდათ?!.

გულ უბრყვილო ახალგაზდა ვერ მიხვდა, რომ ჭაღარა შერთული მეზობელი დასცინოდა, და უპასუხა:

— თქვენმა მზემ, არ ვიცი, რადგან არ მიგემნიაო.

— მაშ არ ვიცის ხორცი ძალიან გემრიელი უნდა იყოს, რომ ისე გულიანად სთლიდითო!.. მიატანა შეუბრალებელმა ჭაღარა შერთულმა.

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩვენ გაზეთში ამას წინად ვრცლად იყო აწერილი, რამდენს სხვა-და-სხვა საშუალებასა ჰხმარობენ ამერიკის ზოგიერთი გაზეთები, რომ ხელის მომწერთა რიცხვი გაიმრავლონ და მკითხველნი მიიზიდონ. ორს ამ გვარს გაზეთს „World“-სა და „Journal“-ს აუარებელი ხალხი იბარებს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ეს გაზეთები ყველაფერში ეჯიბრებიან ერთი მეორეს. მერე ეხლა ხომ უფრო მეტი ადგილი და დრო აქვთ ამ ჯიბრისათვის, ამერიკისა და ესპანიის შორის ომის გამო. გაზეთმა „Journal“-მა გამოაცხადა, რომ „World“-ი ჩვენს გაზეთში დაბეჭდილს დეპეშებს იპარავსო. ამის დასამტკიცებლად „Journal“-მა შემდეგს ხრიკს მიჰმართა. ამ გაზეთში დაბეჭდილს ერთს კორესპონდენციაში, რომელიც ბრძოლის ველიდგან იყო გამოგზავნილი, რედაქციამ განგებ ჩაურთო შემდეგი სიტყვები „პოლკოვნიკი Refipe W. Thenuz, ევროპაში ცნობილი არტილერისტი, მონაწილეობას იღებდა აგვადორესთან“. „World“-მა ეს ამბავი დაბეჭდა იმ სახით, ვითომ თითონ მოსვლიყოს დეპეშა ბრძოლის ველიდგან. მაშინ „Journal“-ის რედაქციამ გამოაცხადა, რომ ჩვენ განგებ ჩავურთეთ ეს უაზრო სიტყვები დეპეშაში, რათა ამით დაგვემტკიცებინა, რომ გაზეთი „World“-ი დეპეშებსა გვპარავს. მართლაც და სახელი ვითომ და ავსტრიელის პოლკოვნიკისა მხოლოდ ანაგრამაა, უკუღმა გადასმული ასოები შემდეგის სიტყვებისა: „We pelfire the news“ (ჩვენ უსინიდისოთ ვბეჭდავთ სხვის ამბებს“).

* * *

ბერლინში არსებობს ერთი საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს შეამციროს ლოთობა. სხვათა შორის, ამ საზოგადოებას შემდეგის საშუალებისათვის მიუმართავს: თითოეულს წევრს თან დააქვს პატარა მანქანა ფოტოგრაფიისა, რომლითაც შეიძლება ერთს წამში გადიღოს კაცის სურათი. თუ ამ საზოგადოების წევრს მთვრალი კაცი შეხვდა ქუჩაში, იმ წამსვე იმის სურათს გადიღებს და მეორე დღეს საზოგადოება გაუგზავნის გამოფხიზლებულს კაცს — აი, ნახე, რა სახით დადიოდი გუშინ ქუჩაშიო. ამბობენ, რომ ამ გვარად ბევრს აალებინა ხელი ლოთობაზე ამ საზოგადოებამაო.

* * *

კუბას კუნძულის მცხოვრებნი დედაკაცნი, როგორც ეხლა გაზეთები სწერენ, ძლიერ ლამაზები და ოჯახის მოყვარულნი და ერთგულნი ყოფილან. გასათხოვარი ქალი თითქმის შინიდგან გარედ არ გავა; აქაური ქალი ძლიერ მალე თხოვდება და მას შემდეგ მისი სიცოცხლე ქმარ-შვილს ეკუთვნის. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ასეთი მშვიდი და წყნარი დედაკაცებიც კი დიდს მონაწილეობას იღებენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ვიდრე კუბას კუნძულზე რევოლიუცია დაიწყებოდა, მარკიზს სანტა ლუჩიას, რომელიც შემდეგ კუბას რესპუბლიკის პრეზიდენტად იქმნა არჩეული, ერთხელ პუერტოპრინჩიპედგან ძლიერ საჭირო ქალალდები უნდა გაეგზავნა ჰავანაში სარევოლიუციო კომიტეტისათვის. თუმცა ამ ქაღალდების წამღებს ძლიერ დიდი მანძილი უნდა გაევლო, სადაც ესპანიელების ბანაკი იყო, მაგრამ ერთმა დედაკაცმა ადვილ დეპელატომ იკისრა ეს საქმე. გააკეთებინა გალია, რომელსაც ორკეცი ძირი ჰქონდა, მაათავსა შიგ საჭირო ქაღალდები, გალიაში ჩასვა ორი თუთიყუში და გაუდგა გზას. ჰავანაში რომ მივიდა, ესპანიელების ჯარმა შეიპყრო და ეჭვი აიღეს, საჭირო ქაღალდები ხომ არ მიაქვსო. მაგრამ ვერაფერი უპოვნეს. მიუხედავად ამისა, რაც-კი თან მიჰქონდა ყველაფერი წაართვეს. დედაკაცმა ტირილი დაიწყო და შეეხვეწა ჯარის კაცებს, რაც გნებავთ, ყველაფერი წაიღეთ, მაგრამ გალია კი დამიბრუნეთ. ეგ თუთიყუშები შვილებივით გამიზდია და ძლიერ მიყვარს; თქვენ ხომ ვერ მოუვლით და უნდა დაიხოცნენო. ჯარის უფროსმა გალია დაუბრუნა. გახარებულმა დედაკაცმა საჭირო ქაღალდები გადასცა კომიტეტს, ორის კვირის შემდეგ დაბრუნდა პუეტრო-პრინჩიპეს და თან წაიღო დიდძალი ტყვია წამალი, რომელიც კუბას კუნძულის მცხოვრებლებმა 1895 წელს მომხდარ ამბოხების დროს გამოიყენეს.

# ბიბლიოგრაფია

„მწარე ფიქრები“ — ახალი ლექსები (1890 — 1896 წ.) დუტუ მეგრელისა. ქუთაისი, 1897 წ.

თითონ ავტორი მშვენივრად ახასიათებს თავისს ლექსებს და მსჯავრსაც სდებს იმათ მნიშვნელობას. ის ერთს ადგილას (77 გვ.) თავისს ლექსებს ადარებს გრიგოლ ორბელიანისა, ბარათაშვილისა და აკაკის ლექსებს და აღიარებს, რომ იმათთან შედარებით „ჩემი ლექსია დასაწუნარიო“. ეს პოეტები ბ-ნ დუტუ მეგრელს დაუსახავს მნათობებად, ხოლო თავისი თავი-კი მხოლოდ ოდნავ მბჟუტავ ჭრაქად. აი მისი სიტყვები:

„მეც იმ ჭრაქს ვგავარ!..
და, თუმც არა ვარ
ზეგარდმო მადლით უხვად ცხებული,
გარს შემორტყმულს ბნელს
ვფენ მცირე ნათელს
წმინდა გრძნობითა აღფრთოვანებული“-ო

მინდოდა არ დავთანხმებოდი ბ-ნ დუტუ მეგრელს და ეს სიტყვები ავტორულ მოკრძალებად მიმეჩნია, მაგრამ ვერ ვიპოვე იმისს ლექსებში ამისი საბუთი. ის მართლაც-და არაა „ზეგარდმო მადლით ცხებული“, როგორც არ არიან სხვა ჩვენი ახალგაზდა, პოეტებად წოდებული, მოლექსეებიც. ზეგარდმო მადლით ცხებული, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ბუნებრივის ნიჭის მქონე პოეტი მთლად ვერ დაემორჩილება წინაპრების მიმართულებას, ვერ ივლის მათ მიერ გათელილის გზით ისე, რომ თითონაც ცოტა რამ მაინც არ მიუმატოს იმათ ნამოქმედარს. ჩვენი ახალგაზდა მოლექსეები-კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ძველით ჰსულდგმულობენ და საზდროობენ. ამიტომაც იმათს ლექსებში ყველაფერია, გარდა პოეზიისა... უპოეზიოდ-კი ლექსი უსულ-გულო და მოსაწყენია. ლექსი ის არის, რომელიც შეუმჩნევლადა და უნებურად ჰხიბლავს გრძნობა-გონებას, ჰბოჭავს და იპყრობს მთელს ჩვენს არსებას. ამისთვის საკმარისი არაა მხოლოდ რითმისა და ცეზურის დაცვა ლექსებში.

ახალგაზდა მოლექსეეთა შორის ბ-ნს დუტუ მეგრელს არც პირველობა ეკუთვნის და არც უკანასკნელობა — ის შუათანაა. იგი ბარათაშვილისა და აკაკის მიმბაძველია. პირველის შეხედვით ბარათაშვილს მეტი გავლენა აქვს დუტუს ლექსებზედ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს გავლენა ყალბი და უნიადაგოა. ბ-ნი დუტუ მეგრელი ძალად ბარათაშვილობს; ის ძალათ იჭერს და ღვლეჭით მოათრევს ხოლმე ბარათაში-

ლის კილოსა და ჰანგს!.. დუტუს კვნესა და ოხვრა გულს არა ჰგმირავს, სულს არ აღშფოთებს. ჩვენი უბედობა, უიმედობა, უსაქმობა, სასოწარკვეთილება და ამით გამოწვეული მდუღარე ცრემლები, შავი ფიქრები, მოთქმა-გოდება, წყევლა და კრულვა,—აი, დუტუს ლექსების საგანი!.. თუმცა სტირის და მოსთქვამს ბ-ნი დუტუ, მაგრამ თითონაც არა სწამს ამისი მნიშვნელობა და ასეთს დარიგებას აძლევს ხოლმე თავისს მუზას:

„კმარა, მუზავ, კმარა მოთქმა, ცრემლები,
საჭიროა გავანძრიოთ ხელები“-ო.

ამ ახალ ლექსებში ავტორს ყველაზე წინ „მწარე ფიქრები“ დაუყენებია და ამიტომაც მთელის წიგნაკისთვის მისი სახელი დაურქმევია. ჩემის აზრით-კი ეს ლექსი ტენდენციოზური და პოეზიას მოკლებულია. ამას სჯობიან: „სიმღერა“ (15 გვ.), „სინანული“ (42 გვ.) და უკანასკნელი ლექსი „ორბელიანის სამხატვრო ნიჭი“... (77 გვ.).

ეს ლექსები წინად გაზეთს „კვალში“ იბეჭდებოდა და შარშან ცალკე წიგნაკად გამოუციათ ქუთაისში. გამოცემა უშნოა.

ჭალარა

## ხალხური ლექსები

(სოფ. ოფიშკვითში გაგონილი სტეფანე სანებლიძის მიერ)

მეგრელი ვარ ხონელი,
აღარ მჭირია ფიციო,
ჭაკი ცხენი მევიპარე,
უკან მოზდევდა კვიციო.

—

თინათია არე-მარეო,
ჩემო მზე, ჩემო მთვარეო,
შენი გული მოწამეა,
ამ ხელა მოგიყვანეო;
მარგული პური გაჭამე,
ჭადი არ მოგაკარეო;
ბერწოულის ღვინო გასვი,
წყალი არ მოგაკარეო;
წითელს ფოსტლებს შეგაყენე,
მიწას არ დაგაკარეო;
იმ დაქცეულს ნავახშმებს
ფეხშიშველ გამეპარეო.
დავჯდები და დავწერ წიგნსა,
მოგეწევი, დაგცემ ძირსა.

—

ეო, მეო, ბეჩა დიმიტრეო,
სად დიმიტრი? სად საყდარი!
რაფერ გატეხეო?
გადვიხედე საკლიტავში,
ერითი გელი*) წევსო,
მგელმა ძროხა შემიჭამა,
ხბო იძახის ჰმეო.
შენი დაი თამარეი
მე გავათხოვეო,
თეთრსა ცხენზედ შევაჯინე,
გავაპრიალეო.

—

ჩემსა ძმასა და შვენდება
მწვანე ჩოხა კალატისა,
ზედ შკირიფი შამორტყმული,
ოქროსა და ქარქაშისა,
ომსა ჩასვლას ემზადება,
ხელს მშვილდი აქვს ალმასისა.
გული აქ დაუდრეკელი,
ისე უნდა ვაჟკაცისა.

—

მე ვიყავ მწარედ ობოლი,
სიღარიბით გამოზდილი,
ღმერთს ვევედრე, გამომზარდა,
ბევრი მიყო სიბრალული.
რასაც ვთხოვდი, კი მისმენდა
გურიელი მხიარული.
წამოდგა ერთმა ხვთის მტერმა,
მან მომიგონა ძნელია;
სომეხს ფართალი მოჰპარეს,
ხოსია გამყიდველია;
ფიცზედ წავდექ მდუღარეზე,
არ ვიყო ამის მქმნელია.
გაყიდე თუ არ გაყიდე,
მაინც არ გაქ საშველიო,
ახლა მიმიხმეს ოზურგეთს,
ღმერთს ავაპყარი ხელიო;
მეგონა სალამს მიბოძებს,
მომხედა რისხვის თვალიო;
ამელამ შეკრულს გამყოფებ,
ხვალე ციმბირში წადიო,
ქურდობა ღმერთმა დასწყევლოს,
არავის არ შერჩენია;
მოყვრები მტერად შემექნენ,
ხიდე ამართვეს გზაზედო;
საწყალი ჩემი ცოლ-შვილი
მტირალე მიცდის გზაზედო.

—

დედამ კაბა შემიკერა,
გამიყოლა ბანტებიო;
მე მეგონა გამათხოვებს,
მამწყემსია ბატებიო;
მე ი ბატებს აღარ ვწყესავ,
აღარ მინდა ბანტებიო.

*) ამ ლექსებს მე არავითარ ცვლილებას არ ვაძლევ, ისე ვწერ, როგორც ამბობენ.

ს. ს—ძე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 ივნისი

**პეტერბურგი.** 25 ივნისს ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფალმა იმპერატრიცამ, დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ და დიდმა მთავრინამ ოლგა ალექსანდრეს ასულმა დაათვალიერეს კრონშტატის ნავთსადგურში ახალი კრეისერი „სვეტლანა“.

**მადრიდი.** გომაზო მოელაპარაკა დედოფალს, შემდეგ გარეშე საქმეთა მინისტრს. ხმა დადის, რომ ეს მოლაპარაკება სამინისტროს შეცვლას შეეხებაო.

**პარიჟი.** განაჩენი ზოლას საქმის გამო გადადებულ იქმნა 9 ივლისამდე. ბრალმდებელი თხოულობს, რომ ზოლა დაისაჯოს და დიდი ჯარიმა გამოერთვას მომჩივართა სასარგებლოდ.

**ლონდონი.** შაფტერის მთავარ სადგურიდგან დეპეშით იუწყებიან: „სერვერის ესკადრის უკანასკნელი გემი—„რეინა მერცედეს“—ამერიკის ფლოტმა გაანადგურა იმ დროს, როდესაც იგი ნავთ-სადგურიდგან გამოსვლას სცდილობდა. გემი მოროს სიმაგრის მახლობლად გაირიყა.

**ჰალიფაქსი.** ხომალდი „Baurqoqne“ დაეჯახა ინგლისის გემს „Cromartyshire“-ს, თუმცა ეს უკანასკნელი ყოველ წუთს, ბურუსისა გამო, ნიშნებს იძლეოდა. „Cromartyshire“-ს კაცებმა დაინახეს რა „Baurqoqne“ ნავები და ამ გემის ნამტვრევები გადარჩენილის მგზავრებით, ეს უკანასკნელნი თავიანთ გემზედ გადასხეს. პირველის კლასის მგზავრები დაიღუპნენ; გადარჩა, უმთავრესად პალუბაზედ მყოფი ხალხი. მოსამსახურენი და აფიცრები უკანასკნელ წუთამდე გემს არ მოჰშორებიან და დაიღუპნენ. მეტად გულსაკლავი სურათი იყო.

**ვაშინგტონი.** სენატმა, 42 ხმის უმეტესობით 41 ხმის წინააღმდეგ შეიწყნარა რეზოლიუცია ჰავაის კუნძულების შეერთების შესახებ.

**ჰავანა.** 150 ზღვაოსანი სერვერის ესკადრისა ცურვით მოვიდნენ სანტ-იაგოში.

გემის „ალფონს XII“-ს კაპიტანმა, რომელსაც ამერიკის სამი გემი დაედევნა, თავისი გემი ნაპირზედ გარიყა. ამერიკელებმა 600 ტყვია ესროლეს. გემის კაცები და საქონლის ერთი ნაწილი გადარჩა.

**ჰავანა.** ბლანკოს პროკლამაციაში, რომელიც სერვერის ესკადრის დაღუპვის შესახებ იუწყება, ნათქვამია, რომ უბედურება, რომელიც ესპანიას დაატყდა, მეტად დიდია, მაგრამ ამის მიუხედავად, სულით არ უნდა დავეცეთო. „უნდა განვაგრძოთ ბრძოლა ბედის უკუღმართობასთან და ვეცადოთ დავამარცხოთ იგი. ძალა საკმაო გვაქვს. მაშ, ღმერთს მივენდოთ და შევვერთდეთ, ვაჟკაცურად მოვიქცეთ და ხელ უხლებლად დავიცვათ სამშობლოს პატიოსნება“-ო.

**მადრიდი.** ერთმა წარჩინებულმა კაცმა განაცხადა, რომ აწინდელი მთავრობა იზრუნებს მხოლოდ იმის შესახებ, რომ ზღვის სანაპირო ადგილები დაიცვას. თუ საჭირო იქმნება ზავის შესახებ მოლაპარაკება, ამას სხვა მთავრობა იკისრებს.

სანტ-იაგოს უკვე დაუწყეს ყუმბარების სროლა. ქალაქი მხნედ იცავს თავს.

**პარიჟი.** პალატა. კასტელენი შეეკითხა დრეიფუსის საქმის შესახებ და უკმაყოფილება განაცხადა იმის გამო, რომ თითქმის ორი წელიწადია რაც დრეიფუსის მეგობრებს ნებას აძლევენ ჯარის უფროსები ჰკიცხონ. კასტელენმა უსაყვედურა წინანდელს მთავრობას, რომ ის გამბედავად არ იქცეოდაო. მოაგონა პალატას კაპიტანის ლებრონ-რენოს განცხადება კავენიაკის ჩარევის შესახებ და დაასრულა იმით, რომ მოითხოვა ბოლო მოუღეთ იმ ამხანაგობას, რომელიც დრეიფუსის სასარგებლოდ მეცადინეობსო. თუ ამისათვის კანონი საკმარისი არ არის, პალატა ახალს დაადგენსო. (ტაშის ცემა). კავენიაკმა მიუგო, რომ გადაწყვეტილი სიქმე არაფერში არ იყო უარ ყოფილიო. მინისტრი აიძულებს პატივით მოეპყრან სამხედრო სასამართლოს განაჩენსაო. მე დარწმუნებული ვარ, რომ დრეიფუსი დამნაშავეა. ეს რწმენა დამყარებულია ნამდვილს საბუთის ქაღალდებზედ. ორმა აფიცერმა გაიგო დრეიფუსი როგორ გამოტყდა. პალატამ ერთხმად გადაწყვიტა გააკრას კავენიაკის სიტყვა. კრება დაიშალა.

**კანეა.** დიდთა სახელმწიფოთ მიერ შედგენილი პროექტი კრიტის დროებით გამგეობის შესახებ, ადმირალთა თანადასწრებით ეუწყა ხალხს.

27 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა დებულება მწერლობაზე სახელმწიფო გარდასახადის დადების შესახებ.

**გონკონგი.** კანტონიდგან იუწყებიან: კვან-სის პროვინციაში, იუნშინსა და ლუნ ჩვონში დიდი უწესოება მოხდა. მეამბოხენი ყველგან ამარცხებენ და მიდიან ვუ-ჩჟოუსაკენ. ბრიტანიის ელჩმა და დამოუნის კომისარმა დეპეშით გემები დაიბარეს.

**ვაშინგტონი,** ლონგმა უბრძანა კრეისერს „ფილადელფიას“ წავიდეს ჰავაის და იქ ამერიკის დროშა ამართოს. „ფილადელფია“ რამდენსამე დღის შემდეგ წავა.

**კანეა.** ადმირალებმა ოფიციალურად ჩასთვალეს კანონიერად კრიტის საერო კრება და განუცხადეს ეს ოსმალეთის გენერალ-გუბერნატორს.

**პარიჟი.** პალატაში განცხადებულ კავენიაკის სურვილის თანხმად, პარიჟის გუბერნატორს ბრძანება მიეცა გამოიწვიოს ესტერგაზი გამოძიებისათვის. პალატაში კენჭის ჩამოტარების გარდაწყვეტილებით დრეიფუსის ცოლის საჩივარს არ განიხილავენ. იუსტიციის მინისტრმა შეატყობინა დრეიფუსის ცოლს, რომ თქვენის საჩივრის სიმართლე არაფრით არა მტკიცდებაო.

**ვაშინგტონი.** შაფტერმა და სამპსონმა მოილაპარაკეს იმის შესახებ, როგორ უნდა დაეცნენ მტერს. სამპსონი დაუყოვნებლივ ყუმბარებსა დაუშენს სანტ-იაგოს შორეულ ნავთსადგურიდგან.

**ლონდონი.** მეტი იმედია, რომ სანტ-იაგო ამერიკელებს დაჰმორჩილდეს. დღეს ზარბაზნები არ დაუცლიათ. ორსავე სახელმწიფო ჯარს ამბავი მიუვიდა, რომ როგორც ვაშინგტონში, ისე მადრიდში სცდილობენ ბრძოლა მოისპოსო.

**იზმაილია.** კამარას ესკადრა სუეზით არხით ისევ ესპანიაში ბრუნდება.

**პარიჟი.** ფორმა მიიღო აბაშეთის ელჩები, რომელთაც მენელიკის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები გადასცეს.

### „ივერიის“ ფოსტა

.ნ ზ— ას. „ნაწყვეტი“ არ დაიბეჭდება.

**ნიკოს.** არ დაიბეჭდება.

**ე. —ჩ—ჯეს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ე. მ—შვილს.** თქვენ მიერ 27 მარტს გამოგზავნილი მოთხრობა არ მიგვიღია.

**პ. ლ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ზანდეგილს (ნ. შ—შვილს).** არ დაიბეჭდება.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 4 ივლისს გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა და **იჯარით გაიცემა** 1899 წლის 30 აპრილიდგან ექვსის წლის ვადით **ქალაქის კერძო აფთიაქი,** რომელიც ამ ჟამად პროვიზორს კამოცკის აქვს იჯარით.

პირობების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა უქმე დღეებს გარდა, დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (3—6.—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

### ქართლის ცხოვრება

წიგნი მეორე, ტომი პირველი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

**ფასი ერთი მანათი.**

(3—უ.—2).

### გამსესხებელი კასსა

გიორგი სიმონის ძის ივანოვისა

გადატანილ იქმნა

მიხეილის ქუჩაზედ, № 101. „სობრანიის“ საზაფხულო სადგომის პირდაპირ, საკუთარს სახლებში. (2—104—1)

მთავარი კანტორა საქარხნო სავაჭრო ამხანაგობისა

### „რ. კელერი და ამხ. მოსკოვში“.

არსებობს მოსკოვში, შუაბაზარში (въ среднихъ торговыхъ рядахъ).

ამხანაგობამ უკვე მოიხვეჭა ჯეროვანი სახელი იმითი, რომ მუდამ სცდილობს გაიაფოს და გააუკეთესოს თავისს ქარხანაში დამზადებული ყოველგვარი ნაწარმოები.

ცნობილია ისიც, რომ რ. კელერისა და ამხ. ქარხანაში მზადდება ისეთი საგნები, რომელნიც თავისის ღირსებით საუკეთესონი არიან.

სავაჭროს გაიაფება და კარგის ღირსების ნაწარმოების დამზადება ამხანაგობამ შესძლო იმის გამო, რომ დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქარხანაში დამზადებულ საგნებისა.

ამის გამო ამხანაგობა ნებას აძლევს თავისს თავს და სასურველად სცნობს, რომ მხმარებელთ თავიანთისავე სარგებლობისათვის ყველგან, როგორც მოსკოვში, ისე პროვინციების მოვაჭრეთაგან, მოითხოვონ და უპირატესობა მისცენ ამ ამხანაგობის მიერ დამზადებულს საგნებს და ვაჭრებმა-კი — შეიძინონ ამავე ამხანაგობის მიერ დამზადებული საგნები, რომელთა გაყიდვის გამოც არ შერცხვებიან არასოდეს თავიანთ მუშტრის წინაშე. (3—მ.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 27 го Іюня 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.